საქართველო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია

დ. ჩოხატაური. წერეთლის ქ №2

№——— "———"——————————— 2015 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ზ. მამალაძეს

გეგზავნებათ, „ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 4 თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ განკარგულების პროექტი.

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის

კომისიის თავმჯდომარე: მ. ბერაძე

პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2015 წლის ————

დ. ჩოხატაური

„ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 4 თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[1] მუხლის თანახმად

საკრებულომ დაადგინა:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 4 თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.
2. „ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 4 თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.
3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. 4–ში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა: მარინე ბერაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში რეგისტრირებული იქნა 2 ახალი ფრაქცია: „ქართული ოცნება - მრეწველები“ და „პატრიოტთა ალიანსი“, ერთი მოქმედი ფრაქცია „ქართული ოცნება - თავისუფალი დემოკრატები“ გაუქმდა და შესაბამისი ცვლილება უნდა აისახოს „ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხაში. სულ მოქმდი ფრაქციაა 7.

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია.

პროექტის ავტორი და სხდომაზე მომხსენებელია მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მარინე ბერაძე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა

  და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: მარინე ბერაძე

პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება ----------

2015 წლის ----------

დ. ჩოხატაური

ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 4 თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დადგენილების დანართში 2 - შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა საშტატო ნუსხა

N	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა საშტატო ნუსხა	საშტატო რიცხოვნობა
1	საკრებულოს თავმჯდომარე	1
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1
3	სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე	1
4	სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	1
5	საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	1
6	ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	1
7	სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია	1
8	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	7

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზაალ მამამლაძე**

დასკვნა

ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 4 თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში რეგისტრირებული იქნა 2 ახალი ფრაქცია: „ქართული ოცნება - მრეწველები“ და „პატრიოტთა ალიანსი“, ერთი მოქმედი ფრაქცია „ქართული ოცნება - თავისუფალი დემოკრატები“ გაუქმდა და შესაბამისი ცვლილება უნდა აისახოს „ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხაში. სულ მოქმდი ფრაქციაა 7.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია ცვლილება შეიტანოს ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 4 თებერვლის N8 დადგენილებაში.

აღნიშნული პროექტი მტკიცდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტით - საკრებულოს დადგენილებით.

„სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

თავმჯდომარე: მარინე ბერაძე